ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2183273

ნომერი: AR1336918

თარიღი : 24.08.2015

გაცემის თარიღი : 10.09.2015

გაცნობის თარიღი : 10.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01024025991
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 30 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურის მიერ 22.05.2015 წ. №1909965 გადაწყვეტილებით შეთანხმებული I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების (მხოლოდ სარეკლამო აბრის ნაწილში) შეტანის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი N52, შპს "ვაკე 777"–ის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე, სამსახურის მიერ 22.05.2015 წ. №1909965 გადაწყვეტილებით შეთანხმებული I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების (მხოლოდ სარეკლამო აბრის ნაწილში) შეტანას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები: ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882014423104 14/08/2014 წ. საკადასტრო კოდი N 01.14.11.004.012.01.500, არსებული ფოტო და კორექტირებული ფოტომონტაჟი, მესაკუთრის თანხმობა, მინდობილობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წერილი #6355 07.09.2015 წ.) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი N52, შპს "ვაკე 777"–ის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე, სამსახურის მიერ 22.05.2015 წ. №1909965 გადაწყვეტილებით შეთანხმებული I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების (მხოლოდ სარეკლამო აბრის ნაწილში) შეტანის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.